

## წიგნის ისტორია

ჯონათან გულიბლის თავგადასავალი, ანუ თავისუფალი ბაზრის ოდისეა შეიქმნა სმულ ბიზნეს ჰავაი-ს საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში. სულ მალე ის მსოფლიო ფენომენად იქცა. წიგნი აღიარა მსოფლიოს სახელმწიფო პოლიტიკის 20-ზე მეტმა ინსტიტუტმა. ის ძალზე პოპულარული გახდა და 30-მდე ენაზე ითარგმნა.

ჯონათან გულიბლის თავგადასავალი, ანუ თავისუფალი ბაზრის ოდისეა-ს მიხედვით დაიდგა სპექტაკლები, იგი გადაიციმოდა სამი შტატის ხუთი რადიოსადგურის ეთერში. წიგნი ადაპტირებულ იქნა და გამოიცა ფლეშ ანიმაციის სახით, გაგრძელდა DVD-სა და ვიდეოზე, ინტერნეტით. წიგნის მიხედვით შეიქმნა თამაშები, კომიქსები, ტელევერსიები, დაიწერა კინოსცენარი, სიმღერები. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს წიგნი ლექციების, დისკუსიებისა და თეატრალიზებული წარმოდგენების ფორმით ახალგაზრდებისთვის თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტური საფუძვლების სწავლების ეფექტური საშუალება გახდა მთელ მსოფლიოში. ეს წიგნი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის მკითხველს თავისუფალი ბაზრის პრინციპები გააცნო.

წიგნში გატარებული იდეები, ერთი შეხედვით, უცნაური და პროვოკაციულია, თუმცა ისინი სმითის, ბასტიატის, ფრიდმენის, ფონ მიხესის და ჰაიეკის თავისუფალი ბაზრის პრინციპებს ეფუძნება. ჩინეთთან მიერთებამდე, წიგნი სერიების სახით ჩინურ ენაზე ჰონგ კონგში, ჰონგ კონგ ეკონომიკ ჯორნალ-ში გამოიცა, ამის შემდეგ კი გამოქვეყნდა იაპონურ ენაზე, ტოკიოში კომპანია ნიპონ ჰიორონ შა-ს ჟურნალში – ეკონომიკ სემინარ. ბულგარეთის თავისუფალი ბაზრის ინსტიტუტის დამაარსებლის, ასენ კანევის განცხადებით, ყოველკვირეულ გაზეთ სედემ უიკლი-ში წიგნის სერიის სახით გამოქვეყნების შემდეგ, გაზეთის ტირაჟი 10 000-დან 20 000 ეგზემპლარამდე გაიზარდა და მან ბულგარეთის გაზეთებს შორის ტირაჟით მეორე ადგილი დაიკავა. დიმიტროს მაღამოულისის განმარტებით, ბერძნულ გაზეთ ნეოს ტიპოს ოვ ვოლოს-ში ჯონათან გულიბლის თავგადასავლის პუბლიკაციას „...უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა და მათი შეფასებით, გაზეთის ტირაჟი 25%-ით გაიზარდა.“

„თავისუფლების ფილოსოფიის“ ფლეშ ანიმაციის შემქმნელი, კერი პირსონი 2004 წლის იანვარში გარდაიცვალა. ეს უდიდესი ტრაგედია იყო ყველასთვის, ვინც აფასებს თავისუფლებას, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც წლების განმავლობაში მუშაობდა მასთან ერთად. ეს პატარა ანიმაცია ჰიტად იქცა მთელ მსოფლიოში. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ სულ მალე საჭირო გახდა ანიმაციის თარგმნა სხვა ენებზეც. კერი კოლეგებთან ერთად მუშაობდა ანიმაციის დამზადებაზე ფრანგულ (ლუი ზიხკასთან ერთად), ესპანურ (ჯუდი ნეგისთან ერთად) და პორტუგალიურ (გუსტავო ლასერდასთან ერთად) ენებზე. დაგეგმილი იყო ანიმაციის თარგმნა სხვა ენებზე, თუმცა კერის ავადმყოფობამ ხელი შეუშალა ამ გეგმების განხორციელებას. მას შემდეგ, რაც ანიმაცია ინტერნეტში გამოქვეყნდა, ჩვენ უამრავი ადამიანისგან მივიღეთ გამოხმაურება, რომლებიც აღტაცებულები დარჩნენ ეფექტურად და თვალსაჩინოდ წარმოდგენილი მასალით. გაჩნდა მოთხოვნა, შერჩეულიყო ისეთი ფორმატი, რომელიც მარტივს გახდიდა ფლეშ ანიმაციის გამოყენებას სასწავლო პროცესში.

რაულ კოსტალესის ხელშეწყობით მოხდა ესპანურენოვანი ანიმაციის ტრანსლირება ესპანეთის სახელმწიფო ტელევიზიით. კოსტა-რიკაში კი მისი ტრანსლირება მოხდა სინატრ-ჩენელ 13-ის მეშვეობით. წიგნი DVD ფორმატით გამოიცა ენდრიუ ელ. სალივანთან, ტიმ სკოუზენტან, მარიო კნეზოვიჩთან, ქრისტინ ბატერბაჰსა და პოლ მინეატოსთან თანამშრომლობით.

თანამშრომლობისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კერი პირსონის დას, ლუიზ უილსონს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://jonathangullible.com>

განსაკუთრებული მადლიერებით მინდა აღვნიშნო ის ასამდე ადამიანი, რომელმაც წვლილი შეიტა აღნიშნულ პროექტში. სემ სლომისა და სმულ ბიზნეს

ჰავაი-ს ხელშეწყობით მოხდა ამერიკულ ინგლისურენოვანი გამოცემის ხორცშესხმა. მოთხრობის რედაქტირებაში დიდი დამსახურება ფლორა ლინკს მიუძღვის. ამ საქმეში მას დახმარება გაუწიეს: ლუსილ სქულანდმა, ნიკოლაი ჰირინგმა, ფრედ ჯეიმსმა, ჰარი ჰარისონმა, სკოტ კაშიმორიმ, რალფ სმიდმა და სტიუარტ ჰაიაშიმ. ადრინდელი გამოცემების მხატვრული გაფორმება ეკუთვნის: რანდალ ლავარიასს, დევიდ ფრიდმანს, ტიფანი კატალფანოს და ორლანდო ვალდესს. წიგნს საკუთარი ფილოსოფიური იდეები შემატეს: გერჰარდ „გეო“ ოლსონმა და სტიუარტ ჰაიაშიმ. ჩემმა მეუღლემ ლიმ და ქალიშვილმა კენლიმ დახმარება გამიწიეს წიგნის თარგმანში, რედაქტირებასა და გამოსაცემად მომზადებაში.

ვინს მიღერმა და ჯიმ ელგუდმა პოპულარიზაცია გაუწიეს მას მთელ მსოფლიოში. ინტერნეტის მეშვეობით წიგნის გავრცელებაზე იზრუნეს: ლუკ იონგენმა, ლუი ვან გილსმა, რეგ ჟაკლინმა, პელე იენსენმა, ჯეფ მაღანმა და ორგანიზაცია HPU SIFE ჯგუფმა. ჰოლანდიური გამოცემა მოამზადეს: უბერ და რიტა ჯონგენებმა, ს. ვიმში ალბადამ და ტონ ჰაგენბურგმა. პირველ რუსულ გამოცემაზე მუშაობდნენ: დმიტრი კოსტიაგინი და უილიამ მილონოვი. რუსული თარგმანის ახალი ვერსიის ავტორებია: კენეტ დე გრაფი და ელენა მამონტოვა. აღნიშნული გამოცემა ინტერნეტში განათავსეს: იაროსლავ რომანჩუკმა და ელენა რაკოვამ. ახალი ნორვეგიული გამოცემა მოამზადეს ლინდა ტუელტამ, იონ ჰენრიკ გილსუსმა, ბიორნ ოვე ფიელანსბოსმა და ბენტ იოჰან მოსფელიმ. პალაუს ენაზე წიგნი თარგმნა ქრისტინა საკახირო პოსეგატემ. ლიტვურ ენაზე წიგნი მოამზადა ვირგის დაუკასმა, რომელიც თავად რეგულარულად იყენებს მას ლიბერიულ ინგლისურენოვან ბანაკში სწავლებისას. სერბულ, მაკედონიურ, ხორვატულ, სლოვენურ, ალბანურ და ბოშურ გამოცემებზე იმუშავა ტრიფან დიმიჩმა. ვალენტინა ბუქსარს ეკუთვნის წიგნის რუმინული თარგმანი და კრის კომანესკუსთან თანაავტორობით რუმინული ონლაინ გამოცემა. ვალდის ბლუზმა გამოაქვეყნა ლატვიური გამოცემა. არლო და გუნდეგა პინოტი მუშაობენ ახალ ლატვიურ გამოცემაზე.

პორტუგალიური გამოცემა მოამზადეს: მარგარეტ ცემ, უილსონ ლინგმა და კარლოს ფერნანდო სოტომ.

წიგნის იაპონური თარგმანი და გამოცემა ითავებს: ტოშიო მურატამ, იოკუ ოცუჯიმ, ტოიოკო ნიშიმურამ, მარიკო ნაკატანიმ, კაიოკო შიმპომ და ჰიროკო ტაკაშიმ. ალექს ჰაილმა თარგმნა, ხოლო სტეფან კოპმა გამოაქვეყნა წიგნი გერმანულ ენაზე. შვედურ თარგმანზე მუშაობდნენ – იონას ეკებომი, კარლ ჰენინგსონი, ქრისტერ ოლსონი, იონ ჰენრი ჰოლმბერგი და, განსაკუთრებით, მატს ჰინცე.

იან იაცეკ შიმონა, იაცეკ სიერპინსკი და ანდრეი ზვაგა მუშაობდნენ პოლონურ გამოცემაზე. უნგრული გამოცემა მოამზადა ანდრას სუიჟარტომ. ჰონკონგში ჩინურენოვანი გამოცემა მომზადდა ჯოი- შან ლამის მიერ, ხოლო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში – დინ პენგისა და ჯერომ მას მიერ. წიგნის ალბანური თარგმანი ეკუთვნის კოზეტა კუადარის. ალბანეთში წიგნი გამოიცა დოქტორ ზეფ პრემისა და ალბანეთის ეკონომიკური კვლევის ცენტრის ხელშეწყობით.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო: წიგნის მონღოლეთში გამოცემისთვის – ძმებს დულმაა და ჰურელ ბაატარებს, კორეული პუბლიკაციისთვის – კ-მი იუნგს, ზარინა ოსმონალიევასა და SIFE ჯგუფს კი – წიგნის ყირგიზეთში გამოქვეყნებისთვის. წიგნი ფრანგულად თარგმნა ლუის ზიხკამ, რომელმაც, ზიგ პედდესთან ერთად, მოამზადა მისი ონლაინ ვერსია. შიკაგოში ჯეიმს შიკუკუმ მოამზადა სუაჰილის გამოცემა. ბულგარულ ენაზე წიგნი თარგმნეს – ბოჟიდარ მარინოვმა და ასენ კანევმა. პოლ ვაჰური აგრძელებს მუშაობას ესტონურ თარგმანზე.

სომალი ენის გამოცემის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფაისალ ჰასანს. ურდუზე წიგნი ითარგმნა და გამოიცა დოქტორ კაჰლილ აჰმადისა და პოლ ლინდბერგის მიერ. ბერძნული გამოცემა მომზადდა დიმიტრიოს მაღამოულისისა და

გამომცემლობა *ნოს ტიპოს ოვ მაგნეზია*-ს მიერ. რა თქმა უნდა, ეს ჩამონათვალი სრული არ არის.

კეკინ ტუმა ამჟამადაც მუშაობს წიგნის გრაფიკულ ვერსიაზე. აგრეთვე მზადდება წიგნის სპარსული ვერსია, რომელზეც დაუღალავად მუშაობენ შაჰრამ სადეგი, ჰენრი და როია ვეიერჰეისერები და უნკლე რეზა.

SIFE & HPU ჯგუფის წევრმა მერი დისბროუმ პაუერპოინტის მეშვეობით მოამზადა ვიქტორინა-თამაში, რომელიც სასწავლო პროცესში გამოიყენება. მას ასისტენტობა გაუწიეს: ენდი ჯაკობმა, კლავს ინსულანდერმა და ბენედიქტ გოეცმა. სიმონ ნობელმა ორგანიზება გაუწია SIFE-ჯგუფის ეგიდით ჩატარებულ კონკურსს მთელი მსოფლიოს მასშტაბით წიგნის მიხედვით საუკეთესო რეფერატის გამოსავლენად. კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა ანა დავიდიუკმა, მეორე ადგილი – ლენა ოსიპოვამ. ედგარ პენიასა და ტომისლავ კრსმანოვიჩის თაოსნობით ეროვნული ლიტერატურული კონკურსები ჩატარდა მექსიკასა და სერბეთში. კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ: კარლოს ფრანცისკო მენდოზა და ვალერია დასიჩი.

წიგნის მიხედვით კინოსცენარი მოამზადა სუზან უელსმა. სცენარს წარმოადგენენ აგენტები ჰოვარდ ჰინმანი და ბროკ დავინიონი. შრი ლანკაში გამოცემას ამზადებენ ლუქსმან შირივარდანი და რაჯა შენანაიაკე. ნეპალში წიგნის გამოცემა მზადდება რობინ სიტოულას მიერ, ხოლო ევრო-ბალკანეთის ინსტიტუტის ეკონომიკური კვლევის ცენტრის დირექტორი პავლინა პეტროვა მუშაობს მაკედონიურ გამოცემაზე. „*ლიბერალ დუსუნჯე ტოპლულუგუ*“-ს (ლიბერალური აზროვნების ასოციაცია) პრეზიდენტი ატილა იაილა ამზადებს წიგნის თურქულენოვან გამოცემას. დევიდ მარჰოფერი მუშაობს წიგნის ებრაულ თარგმანზე. წიგნის არაბულ ენაზე გამოსაცემად ნიკოლაზ დაიკსი მთარგმნელებს ეძებს.

ბარუნ მიტრამ და თავისუფლების ინსტიტუტმა წარმოადგინეს ბენგალური და აზიურ ინგლისური გამოცემა. პარტ შაჰისა და სამოქალაქო საზოგადოების ცენტრის ინიციატივით წიგნის მიხედვით მომზადდა თეატრალური დადგმა. აგვუ ამოგუ ახლაც მუშაობს ნიგერიულ ინგლისურენოვან ვერსიაზე და უკვე თარგმნა ის ნიგერიულ ფიჯინზე (ჰიბრიდული ენა) ინტერნეტში განსათავსებლად. მას დახმარება გაუწია ტომფსონ აიოდელემ. სუაჰილის ენაზე გამოცემა მოამზადა აიუპ მუჰვანამ, მხატვრულად გააფორმა ადამს ნამაიმ და გამოაქვეყნა ჯეიმს შიკვატიმ. შიკვატი აქტიურ პროპაგანდას უწევს თავისუფალი ბაზრის პრინციპების დანერგვას აფრიკაში. მისი ხელშეწყობით, კენიის განათლების სამინისტრომ *ჯონათან გულიბლის თავგადასავალი* კენიის სახელმწიფო სკოლების სახელმძღვანელოდ დაამტკიცა.

ჯანეტ ელდრიჯი წიგნის ბრიტანული კომენტარების ერთ-ერთი თანაავტორია და მუშაობს მისი გაგრძელების სტრატეგიაზე. კომენტარები გამოიცა რეი ელდრიჯის და ბერი კეიტონის ხელშეწყობით.

დიდ მადლობას ეუხდით: რიტა კრეფორდს წიგნის აფრიკაანსზე თარგმნისთვის და მაიკლ ჯონ ბარეტ II-ს, რომელმაც შექმნა სიმღერა ჯონათან გულიბლზე.

მინდა წარმოგიდგინოთ ამ წიგნის ზოგიერთი ერთგული გულშემატკივარიც: მარკ ადამო, მაიკ ბისლი, გლენ ბოიარი, ჩარლზ ბრანცი, როჯერ კოსგროვი, ჯონ დალჰოფი, ჯინ ფრისელი, ჰენრი ჰოლდერ III, თომას ჰანლინ III, ფრენკ ჰიიმსტრა, დეივ ჰოსლი, დუგ ჰოილისი, მიშელ ჯეი ლეკომპტე, პოლ ლანდბერგი, ჯიმ მაკინტოში, უილიამ და დენის მარლეები, როჯერ ნორისი, ტომ პეინი, რიჩარდ რაიმანი, ჯიმ რონგსტადი, ლუსილ სქულანდი, დეგნი შერონი, მარკ და ჯოან სქოუზენები, კლიფ და ბობი სლეიტერები, დევიდ შტაიგელმანი, რუდი და პეტ ტიცები, ჰოვარდ ტომსონი, დაგ თორბორნი, რალფ სმიდი, ჰოვარდ ბლიცი, ერნსტ ჰენკოკი, გრეგ კარპენტერი, ბარი კონერი, ჯ. ედვარდ გრიფინი, მიშო ოგჯანოვონი, კაო ჩაი, უინსტონ პოსეგეთ III, ფობუს აპოლო და ლუი ზიზკა. ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლებოდა, თუმცა ზოგიერთმა ისურვა, ანონიმური დარჩენილიყო.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ონლაინ ვერსიის შემქმნელს, შესანიშნავ ვებ-დიზაინერს ჯინჯერ უორბის, აგრეთვე, რადიოსადგურ KXEM – ფენიქსის ეთერში გასული რადიოდანგმების ავტორებს – დიკ მორისს, რაიან სიგავას, რონ კორპუსს და გეო ოლსონს.

მადლობას მოვახსენებ ჰავაის შტატის წარმომადგენელთა პალატის წევრს დევიდ პენდელტონს. მან მიაშო, როგორ იქცა *ჯონათან გულიბლის თავგადასავალი* მისი ოჯახის სამაგიდო წიგნად. ძილის წინ დევიდი მას შეიღს უკითხავდა და მალე აღმოაჩინა, რომ ბავშვი სკოლაშიც კი აგრძელებდა ჩუმჩუმად წიგნის კითხვას. დევიდის წერილში ნათქვამია: – „თუ მისვდები, რას კითხულობს ჩემი ვაჟი გაკვეთილზე ბოლო მერსზე გამოჭიმული? გამოიცანი. მე ვუთხარი, რომ ეკონომიკაზე წიგნების კითხვა მხოლოდ საშინაო დავალების შესრულების შემდეგ შეეძლო. ძილის წინ მე ვუკითხავ ხოლმე ზოგიერთ თავს. ეს მისთვის დიდი საჩუქარია. ძალიან კმაყოფილი ვარ. გსმენიათ სადმე, რომ ეკონომიკური ლიტერატურის წაკითხვა ბავშვისთვის საშინაო დავალების შესასრულებლად ჯილდოდ იქცეს.“